

პროფესიული სტუდენტის დატვირთვა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს;
2. პროფესიული განათლების კონკრეტული საფეხურის პროფესიული პროგრამის მოცულობა და მისი კომპონენტების (თეორის/პრაქტიკის) თანაფარდობა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული სტანდარტით;
3. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის პროფესიული პროგრამის და მისი კომპონენტების მოცულობები იანგარიშება პროფესიული განათლების კრედიტებით (შემდგომში - კრედიტი). კრედიტი გამოხატავს პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).
4. პროფესიული პროგრამებით სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი კრედიტების ოდენობის და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;
5. ბნსუ-ში პროფესიული პროგრამის შესწავლის კვირები პროგრამის ადმინისტრირების გამარტივების მიზნით პირობითად დაყოფილია სემესტრებად: ყოველი 19 კვირა შეადგენს ერთ სემესტრს, რომლის შემდეგ არის არდადეგები (რამდენიმე სემესტრის შემთხვევაში), 02 სემესტრი შეადგენს ერთ სასწავლო წელს;
6. ბნსუ-ში:
 - 1 კრედიტი = 26 ასტრონომიულ საათს;
 - 1 აკადემიური საათი უდრის 1 ასტრონომიულ საათს;
 - ერთ აკადემიურ საათში მოიაზრება: 50 წუთი სააუდიტორიო დრო + 10 წუთი შესვენება;
 - სემესტრში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა საშუალოდ შეადგენს 30 კრედიტის, ხოლო სასწავლო წლის განმავლობაში არ აღემატება 75 კრედიტს;
 - სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირებს, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების/დაცვების ჩატარებისა და პროფესიული სტუდენტის შეფასების პერიოდს. სასწავლო კვირა მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებში (სასწავლო კურსების შემთხვევაში) / მხოლოდ საკონტაქტო საათებში (პრაქტიკის შემთხვევაში) შესასრულებელ სამუშაოს.
7. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს დამოუკიდებელი მუშაობის და საკონტაქტო (ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, გამოცდები და სხვ.) საათებს, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – მხოლოდ საკონტაქტო საათებს (პრაქტიკული მუშაობა, გამოცდა);
8. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ პროფესიული პროგრამის კომპონენტის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით;
9. პროფესიული სტუდენტების საკონტაქტო საათებში გათვალისწინებული საქმიანობა (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორიული/პრაქტიკული მუშაობა და/ან სხვ.) და კონსულტაციები (არ წარმოადგენს კრედიტის შემადგენელ ნაწილს) ტარდება ერთი სემესტრისათვის შედგენილი მეცადინეობის, გამოცდების და კონსულტაციების ცხრილების მიხედვით, რომლებიც განთავსებულია ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე.